დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

მაისი, 2023

ქ. ჰაგაში ქართული პოეზიის საღამო გაიმართა

1 მაისს, ქ. ჰაგაში, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომლის ფარგლებშიც „საქართველოს ჩოხოსანთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ზაალ სიხარულიძე ნიდერლანდებში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

ზაალ სიხარულიძემ ისაუბრა მწერლობისა და პოეზიის მნიშვნელობაზე ქართული ენისა და კულტურის განვითარებაში. მან წარადგინა თავისი ახალი პოეტური კრებული „ფიქრები ლექსებად“, რომელიც ნარატიული და ეპიკური პოეზიის ჟანრის ნაწარმოებებისგან შედგება და მოიცავს საქართველოს ისტორიულ თემატიკას, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეებისა და უახლესი ისტორიის პერიოდებს. პოეტური ნაწილის დასასრულს, ქართული დიასპორის წარმომადგენელმა ლალი ბუთბაიამ, წაიკითხა ზაალ სიხარულიძის ლექსი „ემხვარის ქალი“, რომელიც ეხება აფხაზეთში განვითარებული მოვლენების თემატიკას.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართველი მესაჭურვლე და მხატვარ-რესტავრატორის, ნიდერლანდების ოქრომჭედელთა გილდიის ოსტატის გოჩა ლაღიძის ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ქართული საბრძოლო ტრადიციული იარაღები, კერძოდ დამასკური ფოლადისგან ნაჭედი ხმლები და ქართული ჩოხის მასრები.

ღონისძიებას ესწრებოდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია და საელჩოს თანამშრომელები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ისრაელის სახელმწიფოში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

2 მაისს, ისრაელის სახელმწიფოში ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, ილია დარჩიაშვილმა დიასპორის წარმომადგენლებს გააცნო დიასპორის სახელმწიფო სტრატეგია და ხაზი გაუსვა საგარეო უწყებისთვის დიასპორის საკითხებზე მუშაობის პრიორიტეტულობას. ასევე, ისაუბრა იმ ინიციატივებსა და სიახლეებზე, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროში ინერგება დიასპორასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით. საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლზე საზღვარგარეთ ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, საქართველოს პოპულარიზაციისა და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში.

ილია დარჩიაშვილმა დიასპორის წარმომადგენლებს შეხვედრაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და მათთან შემდგომი ინტენსიური კომუნიკაციის მზადყოფნა გამოთქვა.

კუნძულ ტექსელზე ქართველთა აჯანყებისას დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა გაიხსნა

4 მაისს, ნიდერლანდების სამეფოში, კუნძულ ტექსელზე, 1945 წელს, ტექსელის ქართველთა აჯანყების დროს დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფის გახსნის ცერემონია გაიმართა.
მემორიალური დაფის დიზაინის ავტორია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მოქანდაკე-რესტავრატორი, დავით (დევი) ხმალაძე, ხოლო ინიციატივა ეკუთვნის ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელს, თინათინ სვანიძე-ვენკოს.
მემორიალური დაფის გახსნა საგარეო საქმეთა სამინისტროს და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას დელეგაციის წევრებმა პატივი მიაგეს და მემორიალური მონუმენტი გვირგვინით შეამკეს.
ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ, კუნძულ ტექსელის მერმა, მიხილ აუთდენჰაგმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რუსლან აბაშიძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიდერლანდების სამეფოში, დავით სოლომონიამ, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა, მეუფე დოსითეოსმა, ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელმა, თიკა სვანიძე-ვენკომ და ქართველ ებრაელთა მსოფლიო რაბინმა, იაკობ გაგულაშვილმა.

ქართულმა სათვისტომომ ავსტრიაში „ევროპის დღე“ აღნიშნა

6 მაისს, ქ. ვენაში, „ევროპის დღესთან" (#Europatag2023) დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა. ავსტრიაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო „ქართულმა სათვისტომომ ავსტრიაში".
ქართულ სტენდთან სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ქვეყნის კულტურასა და ტურისტულ პოტენციალს. ღონისძიების ფარგლებში ქართველმა მუსიკოსებმა შეასრულეს ჯაზი და ქართული ხალხური სიმღერები.

აზერბაიჯანის კახის რაიონში გიორგობის დღესასწაული აღინიშნა

6 მაისს, აზერბაიჯანის კახის რაიონში ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ქართველებმა გიორგობის დღესასწაული იზეიმეს. კახის რაიონის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა მიტროპოლიტმა თეოდორემ და კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა აღავლინეს, ხოლო ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში პარაკლისი ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) გადაიხადა.

გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ზეიმში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის და ლაგოდეხის მერიის წარმომადგენლები, კერძოდ: ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), მღვდელი პეტრე ხუმარაშვილი და საპატრიარქოს წარმომადგენლები, მათ შორის, მგალობლები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე და სააგენტოს თანამშრომლები, პარლამენტის წევრი გურამ მაჭარაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახეთში, გივი მეტრეველი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, კარლო ჯამბურია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები.

ქ. მაუთჰაუზენში საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

7 მაისს, ქ. მაუთჰაუზენში, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ, ქართული დიასპორის და სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მაუთჰაუზენის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე გამართულ მსხვერპლთა ხსოვნისა და საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლების 78-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

ქართულმა დელეგაციამ ყვავილებით შეამკო მაუთჰაუზენსა და მის ახლო მდებარე საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ხსოვნის მემორიალური დაფა, რომელიც 2018 წელს, ავსტრიის რესპუბლიკაში ქართველ სტუდენტთა ასოციაციის ინიციატივით გაიხსნა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა შთამომავლები.

ანსამბლმა „კავკასია“ გიორგოს კარაისკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმში მიიღო მონაწილეობა

7 მაისს, ათენის ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „კავკასია“ მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის ეროვნული გმირის, გიორგოს კარაისკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმში, რომელიც კერაცინის (ათენის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე გაიმართა. ქართულმა ანსამბლმა მაყურებლის წინაშე შეასრულა სიმღერები „ქრისტე აღდგა“ (ლეჩხუმური), „შინმოუსვლელო სადა ხარ...“, „აჭარული პოპური“ და ქართული ცეკვები „მუხამბაზი“, „ყაზბეგური“ და „ქალ-ვაჟთა მთიულური“.

საღამო გაიხსნა ღონისძიების მთავარი მასპინძლის - ნიკეას მიტროპოლიტის, მეუფე ალექსის საზეიმო სიტყვით და ლოცვა-კურთხევით.

ღონისძიებას ქართული დიასპორის და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქ. ათენში ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო

7 მაისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზის“ ორგანიზებით, ცენტრის თეატრში, ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ათენში და საქართველოში მოღვაწე ქართველი მხატვრების სოფია ბელთაძის, მანანა ცერცვაძის, სოფია უძილაურის, ლაშა ზაქრაძის, მზექალა ბერძენიშვილის, ია არსენიშვილის, ბესარიონ როსტიაშვილის, ნინო ჩხეტიანის, ბელა ბიბილურის, ნიკოლოზ მალაურის, ხათუნა სახელაშვილის ნამუშევრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ათენში ქართული კულტურის საღამო გაიმართა

7 მაისს, ქ. ათენში, მოსხატოს კულტურის ცენტრში, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ორგანიზებითა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ბერძნულ-ქართული კულტურული ორგანიზაცია „ათინათი 60“-ის მხარდაჭერით, გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“.
საღამოს ფარგლებში ქართული ცეკვები და ვოკალური ნომრები წარმოადგინეს ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ბაზაზე არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ვოკალურმა ანსამბლმა „ივერიელები'' და თბილისიდან სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მიწვეულმა ანსამბლმა „მძნობარი“.
ღონისძიება მიყავდა ქ. ათენის დავით გურამიშვილის სახელობის საკვირაო სკოლის პედაგოგს თამარ აფციაურს.
საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე, საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე, ათენის ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ბერძენი სტუმრები.

ქ. ათენში მხატვრული ფილმის „შინდისი“ ჩვენება გაიმართა

7 მაისს, ქ. ათენში, კინოთეატრ „სტუდიოში“, კულტურული ორგანიზაციის - „ლამარია“ ხელმძღვანელის, ლიგია მუშკუდიანის და ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაციის - „დიონისე“ ხელმძღვანელის, თამარ სამხარაძის ორგანიზებით შედგა მხატვრული ფილმის „შინდისი“ ჩვენება.
ჩვენებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ასევე, ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი გოგა პიპინაშვილი და ფილმის პროდიუსერი ედმონდ მინაშვილი.

ანსამბლმა „Le Vie Dei Canti“ რომის მუსიკის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

9-13 მაისს, ქ. რომის მესამე უნივერსიტეტთან არსებულ თეატრ „პალადიუმში“ მუსიკის ფესტივალი სახელწოდებით „Oltre i Confini" – „საზღვრებს მიღმა“ გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ქალთა ვოკალურმა სამოყვარულო ანსამბლმა „Le Vie Dei Canti", რომელსაც ქართველი მუსიკოსი, ეკა კაჭარავა ხელმძღვანელობს.
ანსამბლი მსმენელის წინაშე ქართული რეპერტუარით წარდგა.

ქ. ვაშინგტონში ორგანიზაცია „საქართველოს ასოციაცია აშშ-ში“ დაარსების იუბილე აღინიშნა



11 მაისს, ქ. ვაშინგტონში, დირქსენის სახელობის აშშ-ს სენატის შენობაში, დიასპორულმა ორგანიზაციამ „საქართველოს ასოციაცია აშშ-ში“, ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელ მეგობრებთან” და ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოსთან პარტნიორობით, უმასპინძლა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 105 წლის და ასევე ორგანიზაციის „საქართველოს ასოციაცია აშშ-ში“ დაარსების 91 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას.
ასოციაციის პრეზიდენტმა ვერონიკა მეტონიძემ ასოციაციის ისტორიის, მისი ამჟამინდელი მისიისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა.
სენატორებმა ბენ კარდინმა და ჯინ შაჰინმა, ასოციაციას იუბილე წერილობით მიულოცეს და მხარდაჭერა აღუთქვეს ქართულ საზოგადოებასა და საქართველოს.
ასოციაციამ, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კავშირების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის, „სახალხო ელჩის“ ჯილდო გადასცა ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრების” ხელმძღვანელს, მარუსია ჭავჭავაძესა და თეატრს - Synethic Theatre in Washington (სამხატვრო ხელმძღვანელი: პაატა ციქურიშვილი).

ქ. ტალინის ევროპულ სკოლაში ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

12 მაისს, ქ. ტალინის ევროპულ სკოლაში, ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ამავე სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები, ესტონეთში ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეები, ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო, ასევე, ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.
ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული სიმბოლიკა, მათ შორის, ქართული სამოსი, ხელნაკეთი ნივთები, საინფორმაციო ბროშურები საქართველოს შესახებ.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს ისტორიას და კულტურას, დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები.

ქ. სოჭში ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა

12 მაისს, ქ. სოჭის შოთა რუსთაველის სახელობის ქართველთა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ორგანიზებით, ჩატარდა რუსეთში ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. ხსენებულ ღონისძიებაში მონაწილება მიიღეს ქ. სტავროპოლის ნაციონალურ-კულტურული ავტონომია „იმედის“ თავმჯდომარემ, ვახტანგ ჯორბენაძემ, კრასნოდარის რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული საზოგადოება ივერიას“ თავმჯდომარემ, ნიაზი ლაგვილავამ, ქ. სოჭში ქართული კულტურული ცენტრ „ივერიას“ თავმჯდომარემ, სემიონ უჩაძემ, ქ. ნოვოროსიისკში ქართული ნაციონალურ-კულტურული გაერთიანება „ბაგრატიონის“ ვიცე-პრეზიდენტმა, რამაზ ცაავამ და ქ. სანქტ-პეტერბურგის რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომია ივერიას“ ვიცე-პრეზიდენტმა, ბორის ბერულავამ; ღონისძიებაზე სტუმრების წინაშე წარდგნენ ქორეოგრაფიული ანსამბლი „პლასტუნკა“, ქ. კრასნოდარის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ივერია“, ქ. სოჭის ქორეოგრაფიული ანსამბლები „იმერეთი“, „როკვა“, „ლეგენდა“ და „ივერია“. მუსიკალურმა ანსამბლმა „ტიფლისი“ შეასრულა ქართული მრავალხმიანი სიმღერები.
ღონისძიებას ესწრებოდა რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის კონსული სოზარ კვინჩია. ვიზიტის ფარგლებში, კონსული დაესწრო რუსეთში ქართულ სათვისტომოთა მესამე შემაჯამებელ ფორუმს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ქ. სოჭში წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა - მამა ამირანმა.

ქ. ბერლინში ქართული საკვირაო სკოლა „ანი ბანი“ გაიხსნა

13 მაისს, ქ. ბერლინში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, საელჩოს შენობაში საზეიმოდ გაიხსნა ახალი ქართული საკვირაო სკოლა „ანი ბანი“.
დამსწრე საზოგადოებას წამოწყება მიულოცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან იზორიამ, რომელმაც გამოსვლაში აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინსიტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მხარდაჭერით, მოსწავლეებს გადაეცემათ სპეციალური სახელმძღვანელო ლიტერატურა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შემუშავდა.
სკოლის დამფუძნებლებმა ნათია ნინიძემ და ხატია ფოფხაძემ ისაუბრეს დაგეგმილი სასკოლო პროგრამისა და კონკრეტული საორგანიზაციო დეტალების შესახებ.

ანსამბლმა „ლაზი“ კულტურებისა და ენების ყოველწლიურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

13 მაისს, ქ. პარიზის ქართველთა კულტურის კერა „ლაზთან“ არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო კულტურებისა და ენების ყოველწლიურ ფესტივალში - Festival des Cultures et des Langues, რომელიც პარიზის რეგიონში, კოლომბის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.
ანსამბლი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას ფესტივალში და წარადგენს ქართულ ცეკვებს.

ანსამბლმა „კავკასია“ ათენის საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

13 მაისს, ქ. ათენის ქართული ცეკვების ანსამბლმა „კავკასია“ მონაწილეობა მიიღო ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალში „ერების დღეობა – Byron College“, რომელიც ათენის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში „ბაირონის კოლეჯი„ გაიმართა. ანსამბლმა ოთხი ქორეოგრაფიული ნომერი წარადგინა, რომელთაგან ორი - პირველად შესრულდა სცენაზე. საღამოს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე და საელჩოს პირველი მდივანი ანი უძილაური.

ქართული კულტურის დღეები ქ. პეზაროში

13, 14, და 15 მაისს, ქ. პეზაროში, რენატა ტებალდის და მარიო დელ მონაკოს სახელობის საერთაშორისო საოპერო მომღერლების აკადემიის დამფუძნებლებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლების - ნინო და ლიკა ლეჟავების ორგანიზებით, ჩატარდა ქართული კულტურის დღეები.

საზეიმო ღონისძიებებს ესწრებოდნენ იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კონსტანტინე სურგულაძე და საელჩოს მრჩეველი, დავით გომართელი.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის კულტურის ცენტრის ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“, ასევე, ბათუმის კულტურის ცენტრის მამაკაცთა ხალხური სიმღერის გუნდი და ქალთა აკადემიური ვოკალური გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობენ არსენ დევაძე, თეიმურაზ დოლიძე, მერაბ ბოჭორიშვილი და დავით აბულაძე.

ქ. ათენში გაზეთ „ელადას“ ორგანიზებით „ქუთაისობა“ აღინიშნა

14 მაისს, ქ. ათენში, გაზეთ ,,ელადას“ ლიტერატურულ სალონში „ქუთაისობასთან“ დაკავშირებით, გამომცემლობის ხელმძღვანელის, რუსუდან ჯანელიძის ორგანიზებით მოეწყო კულტურული ღონისძიება, სადაც გაჟღერდა ქუთაისისადმი მიძღვნილი პოეზია და მუსიკა.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ლატვიის რესპუბლიკაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

16 მაისს, ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ირაკლი ყურაშვილმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ლატვიაში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.
შეხვედრაზე განხილულ იქნა საელჩოსა და ლატვიაში მყოფ თანამემამულეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები მიმდინარე წლის განმავლობაში.

ქ. ათენში ქართული ენის ღია გაკვეთილი ჩატარდა

17 მაისს, ქ. ათენის ქართულ-ბერძნული კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერობების ცენტრის „პეგასი-მერანის” აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც „ქართული ენისადმი მიძღვნილი ღია გაკვეთილების ციკლის“ ფარგლებში გაიმართა.
„პეგასი-მერანის“ მოწაფეებმა წარმოადგინეს მოკლე თეატრალური დადგმა „ვერის უბნის მელოდიები" ქართულ და ბერძნულ ენებზე.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე, ცენტრის „პეგასი-მერანის” ხელმძღვანელები და პედაგოგები. დეა მუმლაძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს და ისაუბრა სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებზე დიასპორასთან მიმართებით. მან მადლობა გადაუხადა „პეგასი-მერანის“ ხელმძღვანელობას ათენში მცხოვრებ ახალგაზრდა თაობაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.
„პეგასი-მერანის“ ხელმძღვანელებმა შორენა მჭედლიძემ და იანის ბულიასმა ისაუბრეს თავიანთი ორგანიზაციის საქმიანობაზე. აღნიშნეს, რომ მათი მიზანია ათენში მცხოვრებმა ქართველმა ახალგაზრდებმა იცოდნენ როგორც საკუთარი ენა, ლიტერატურა, ფოლკლორი, ისტორია, ისე ადგილსამყოფელი ქვეყნის ენა, კულტურა და ტრადიციები.
ღონისძიების ბოლოს ცენტრის მოსწავლეებს სამახსოვრო სიგელები გადაეცათ.

ქ. მილანში დათო ტურაშვილის ,,ჯინსების თაობის'' იტალიურენოვანი თარგმნის პრეზენტაცია გაიმართა

17 მაისს, ქ. მილანში, ქართული-ასოციაცია ,,მერანისა'' და ბოკონის უნივერსიტეტის პროფესორის, ვიქტორია ლაპას თანამშრომლობით, უნივერსიტეტთან არსებული წიგნების მაღაზია „Egea“-ს სამკითხველო დარბაზში, დათო ტურაშვილის ,,ჯინსების თაობის'' იტალიურენოვანი თარგმნის პრეზენტაცია შედგა.
წიგნი თავად მწერალმა დათო ტურაშვილმა, ქართულ-იტალიური ინტერნეტ-ტელევიზია MERANI TV-ს დამაარსებელმა მელი თურმანიძემ, ბოკონის უნივერსიტეტის პროფესორმა ვიქტორია ლაპამ და თარჯიმანმა - ქეთი ჩარკვიანმა წარადგინეს.
დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ბოკონის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, დავით თვალავაძემ და ნინი გილაშვილმა, პავიის უნივერსიტეტის პროფესორმა სოლომონ ნერგაძემ.
პრეზენტაციას ქართულ-იტალიური საზოგადოება დაესწრო. სტუმრებს შორის გახლდათ იტალიური რადიო ,,Radicale'' და იტალიელი ფოტოგრაფი და ჟურნალისტი - მარიო ნეგრი.
საღამოს დასასრულს, მკითხველებმა საყვარელი ქართველი მწერლისგან ავტოგრაფებიც მიიღეს.

ქ. ლონდონში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

20 მაისს, ქ. ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომოს, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის და ლონდონში საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის კათედრალის ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
დამსწრე საზოგადოებას დღესასწაული საქართველოდან მოულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და დალოცა გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ქართული მართლმადიდებლური ეპარქიის მრევლი და თანამემამულეები. მისი უწმინდებულესობის წერილი დარბაზში მყოფ სტუმრებს წაუკითხა ლონდონის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა მამა გიორგი ღიბრაძემ. ღონისძიებას ესწრებოდა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სოფიო ქაცარავა.

ქართული დიასპორის წარმომადგენლები ქ. არნედოს სართაშორისო კულტურის ფესტივალზე წარდგნენ

20 და 21 მაისს, ესპანეთის სამეფოს ქ. არნედოში მოქმედმა ქართული ცეკვის სტუდიამ „პატარა საქართველო“ (ხელმძღვანელები: დათო და სოფო ნადარეიშვილები) და ხალხური სიმღერების გუნდმა (ხელმძღვანელები: ბადრი ყაჭიური, თეა ქოიავა, ზურაბ თოფურია და თამუნა კირკიტაძე) და ქ. მადრიდიდან მიწვეულმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა აკადემიამ „გეორგია“ (ქორეოგრაფები და ხელმძღვანელები - მაკო მიქელაძესა და კოტე მესხიძე) მონაწილეობა მიიღეს არნედოს II საერთაშორისო კულტურის ფესტივალში.
ფესტივალის პირველ დღეს, ქ. არნედოს მთავარ თეატრ „სერვანტესში“, რომელიც საზეიმო ვითარებაში გახსნა ქალაქის მერმა ხავიერ გარსიამ, წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „მოგზაურობა კავკასიაში“. ფესტივალის მეორე დღეს კი, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო მონაწილე ქვეყნების გასტრონომიის დეგუსტაცია და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, სადაც საქართველოს სტენდთან მისულ სტუმრებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და კერძები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი ზურაბ მჭედლიშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ანსამბლმა „ალილო“ ირლანდიაში კონცერტები გამართა

20-22 მაისს, ირლანდიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ,,ქართული კულტურის ცენტრი - ქართული დიასპორა ირლანდიაში” ერთობლივი ორგანიზებით, ქ. კორკსა და ქ. დუბლინში კონცერტები გამართა ანსამბლმა „ალილომ“ (ხელმძღვანელი - ლაშა ღლონტი).
კონცერტს დაესწრნენ ირლანდიაში მცხოვრები ქართველი თანამემამულეები და ირლანდიელები, პარლამენტის, სენატისა და სამთავრობო სტრუქტურების, ასევე დუბლინში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქ. ათენის ვახტანგ VI სახელობის ქართულ საკვირაო სკოლას უმასპინძლა

21 მაისს, ქ. ათენში საქართველოს საელჩომ, „ქართული ენისადმი მიძღვნილი ღია გაკვეთილების ციკლის" ფარგლებში, ათენის ვახტანგ VI სახელობის ქართულ საკვირაო სკოლას უმასპინძლა.
საელჩოს სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე და კონსულის მოვალეობის შემსრულებელი კარლო ჩხაიძე. მათ მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორს, დარეჯან ღამბაშიძეს იმ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმისთვის, რომელსაც ის და მისი პედაგოგები ემსახურებიან. ასევე, ისაუბრეს ქართული ენის უნიკალურობასა და მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე.
ღია გაკვეთილში მონაწილეობა მიიღეს საკვირაო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიისა და გეოგრაფიის პედაგოგებმა - ნინო ფრუიძემ, ნანა სამხარაძემ, ლაშა შუკაკიძემ და სკოლის აღსაზრდელებმა.
საინტერესო ინტერაქტიული გაკვეთილები სკოლის მოსწავლეებისთვის სამახსოვრო სიგელების გადაცემით დასრულდა.

ჰანოვერის ქართულმა სათვისტომომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

21 მაისს, ჰანოვერის ქართულმა სათვისტომომ და მასთან არსებულმა საკვირაო სკოლამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „ჩემი საქართველო“ გამართა.
ღონისძიებაში საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა და სათვისტომოს ახლადდაარსებულმა ქართული ხალხური სიმღერების გუნდმა (ხელმძღვანელები: დავით კინწურაშვილი და თინათინ წერეთელი) მიიღეს მონაწილეობა. კონცერტი გუნდმა „მრავალჟამიერით“ გახსნა და „შენ ხარ ვენახით“ დახურა.



ქ. ემპოლში ახალი დიასპორული ორგანიზაციის ,,ქართველთა ასოციაცია ემპოლიში'' პრეზენტაცია გაიმართა

21 მაისს, ქ. ემპოლში, ახალი დიასპორული ორგანიზაციის ,,ქართველთა ასოციაცია ემპოლიში'' პრეზენტაცია გაიმართა. ორგანიზაციის ხელმძღვანელია ფატი ჭიჭინაძე. ორგანიზაციის მიზანია იტალიაში საქართველოს პოპულარიზაცია, ქართველ ემიგრანტთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვა, იტალიის საზოგადოებასთან ადაპტაციაში ხელის შეწყობა, საკვირაო სკოლის, ბიბლიოთეკისა და სხვა საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება.

ქ. თესალონიკში მიუზიკლის „კურკას ქორწილი“ ჩვენება გაიმართა

21 მაისს,, ქ. თესალონიკში, თეატრში „ანეტონი“, თესალონიკის ქართულმა თეატრალურმა დასმა, მალხაზ რაზმაძის ხელმძღვანელობით და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა „მამული“, ზაზა გიუნაშვილის და ნათია ამირანაშვილის ხელმძღვანელობით, ერთობლივი პროექტი, ორმოქმედებიანი მიუზიკლი „კურკას ქორწილი“ წარმოადგინა.
მიუზიკლში ერთ-ერთი წამყვანი როლი ათენის ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისეს'' თეატრალური დასის მსახიობმა მამუკა ქაჯაიამ შეასრულა.

ქ. პარიზში ქართული კუტურის საღამო - „ერთობის ზეიმი“ გაიმართა

21 მაისს, ქ. პარიზის წმინდა ლეონის თეატრში, პარიზის წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანტონის (კანდელაკი) ინიციატივით და ორგანიზებით ქართული კუტურის საღამო - „ერთობის ზეიმი“ გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქ. პარიზში მოქმედი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „თამარიონნი“, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებული ანსამბლი „ნანილა“, ქ. ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის ტაძართან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ქართველო“ და პარიზში მოღვაწე ქართველი მომღერალი ელგა ფორჩხიძე.
ღონისძიებას ესწრებოდა საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და იუნესკოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, გოჩა ჯავახიშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. იერუსალიმში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

22 მაისს, ქ. იერუსალიმში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ქართული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ისრაელში ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა „ფესვები“ მიხეილ ბარამაშვილის ხელმძღვანელობით.
ღონისძიებაზე მაყურებლის წინაშე ასევე წარდგნენ ბათუმის სიმფონიური ორკესტრი, მომღერალი სოფო ხალვაში და აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ხორუმი“.
ღონისძიებას ესწრებოდა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ლაშა ჟვანია, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ფილადელფიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

26 მაისს, ქ. ფილადელფიაში, მერიის შენობის წინ, ჩრდილოეთ ამერიკის ქართული ეპარქიის ეპისკოპოსი საბას (ინწკირველი) ლოცვა-კურთხევით და წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონია.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ზალკალიანი და ქ. ნიუ-იორკში გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ნინუა.
ცერემონიალის მსვლელობის დროს შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ქ. დრეზდენის საკვირაო სკოლა „ანა-ბანამ“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, ქ. დრეზდენში ქართული საკვირაო სკოლა „ანა-ბანას“ მოსწავლეების მონაწილეობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაზე სკოლის აღსაზრდელებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე და მის მნიშვნელობაზე; ბავშვებმა დახატეს თავისი თვალით დანახული თავისუფალი და ერთიანი საქართველო, რამაც ნათლად წარმოაჩინა მათი წარმოსახვა და სურვილი, დაბრუნებულიყვნენ საქართველოში.
ღონისძიების დასასრულს, საკვირაო სკოლის შესასვლელთან ბავშვებმა ერთად დახატეს საქართველოს დროშა.

ქ. ფრანკფურტის ქართულმა საკვირაო სკოლამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

27 მაისს, ქ. ფრანკფურტში, საზოგადოება „გეორგიკასთან" არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გამართა. კონცერტი საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. სკოლის მოწაფეები მაყურებლის წინაშე ლექსებით, სიმღერებით, სპექტაკლითა და ცეკვებით წარდგნენ.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები, კონსული მაია აბულაშვილი და გენერალური კონსულის თანაშემწე, ლიკა ტუხაშვილი.
კონცერტის შემდეგ ზეიმის ორგანიზატორები სტუმრებს ქართული კერძებით გაუმასპინძლდნენ.

ქ. ნიუ-იორკში საქართველოს დამოუკიდებლობის და ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

27-28 მაის, ქ. ნიუ-იორკში, არასამთავრობო ორგანიზაცია „დიასპორის სახლის“, ინა ასანიძისა და თამარა ტორესის ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის და ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი და ფორუმი გაიმართა. კონცერტი ჩატარდა Oceana Theater-ის დარბაზში, სადაც ასევე შედგა ამერიკაში მოღვაწე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა და ქართული ღვინის დეგუსტაცია.

ღონისძიებაზე მისული სტუმრების წინაშე წარდგნენ მომღერლები: ნუცა ბუზალაძე, ცუცა კაპანაძე, ნინი შერმადინი, სალომე ქათამაძე, ნინი წიკლაური, ლენკა ზვიადაძე, ირაკლი შარაძე, დავით ღვინიანიძე, ლევან შენგელია, გოგიტა გოგიძე, ირაკლი რუსია, გიორგი შალვაშვილი, ლელე ნინუა, დონარა გვრიტიშვილი, ალექსანდრე ნასყიდაშვილი.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს დიასპორული ორგანიზაციები: ქართული კულტურის ცენტრი „Dancing Crane“, ქართული კულტურის ცენტრი „ფესვები“, ცეკვის აკადემია „Irina’s Dance Academy“, ანსამბლი „Elva“ და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ფორუმი „GEORGIAN DIASPORA”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აშშ-ში მოქმედმა ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა და კულტურულმა ცენტრებმა, ასევე გერმანიის, კვიპროსის, ესპანეთის და ისრაელის ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა.

დიასპორის წარმომადგენლებს გადაეცათ მადლობის სიგელები ქართული დიასპორის საკითხებში აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში დავით ზალკალიანი, ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული, ეკატერინე ნინუა, ჩრდილოეთ ამერიკის ქართული ეპარქიის ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი), აშშ-ში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ათენში, საბავშვო სპექტაკლის „ჩხიკვთა ქორწილი" პრემიერა გაიმართა

28 მაისს, ქ. ათენში, საბავშვო სპექტაკლის „ჩხიკვთა ქორწილი“ პრემიერა გაიმართა. სპექტაკლი წარმოადგინა ათენის ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისეს“ თეატრალურმა დასმა.
პრემიერას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე და ქ. ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქ. ბერლინში ქართული დიასპორის წარმომადგენლების მონაწილეობით საფეხბურთო ტურნირი გაიმართა

28 მაისს, ქ ბერლინში, გერმანიის ქართული სათვისტომოს (Georgischer Verein in Deutschland e.V.) ორგანიზებით, სტადიონზე Kicker World, საფეხბურთო ტურნირი გაიმართა. წლევანდელ მეთერთმეტე ტურნირში მონაწილეობა მიიღო ათმა გუნდმა ბერლინიდან, მიუნხენიდან, შტუტგარტიდან, დრეზდენიდან და გოპინგენიდან.
გერმანიის ქართული სათვისტომოს თასის მფლობელი წელსაც ქალაქ მიუნხენის გუნდი FC GEORGIA MÜNCHEN გახდა. მეორე და მესამე ადგილები კი მასპინძელმა გუნდებმა „მადლობა“-მ და „ბერლინი 1“-მა გაინაწილეს.
ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდნენ გიორგი მარგიანი და ირაკლი მარგიანი, საუკეთესო ბორმბარდირად კი შალვა გოგია (FC GEORGIA MÜNCHEN), ხოლო ტურნირის საუკეთესო მეკარე ვასილ ჯიქია (ბერლინის გუნდი „მადლობა“) გახდა. მათ სპეციალურად დაწესებული პრიზები გადაეცათ.
ტურნირში მონაწილე გუნდებს საზეიმო ვითარებაში გერმანიის ქართული სათვისტომოს საპატიო სიგელები გადაეცა, ყველა მოთამაშე კი დაჯილდოვდა მედლით.

ქ. დუბლინში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

28 მაისს, ქ. დუბლინში, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, ასევე ქართული კულტურის ცენტრისა და ქართული დიასპორის წევრების ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობდენ: მომღერალი ზურა აზარაშვილი, გიტარისტი დავით კეიდია, ბავშვთა ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი National Rhythm Of Georgia, ლაშა საბაშვილის ხელმძღვანელობით, ანსამბლი „კავკასიონი“, ირაკლი კაჭარავას ხელმძღვანელობით, უკრაინული ქორეოგრაფიული ანსამბლი „Мрія“ და უკრაინული ვოკალური ანსამბლი „Акцент“.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ეკა ჟვანიასა და ირინა გვაზავას ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

საკვირაო სკოლამ ,,პატარა საქართველო em Portugal“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

28 მაისს, ქ. ლისაბონში, ასოციაციასთან - „ქართული სახლი პორტუგალიაში“ (ACGP Associação, Casa Georgiana em Portugal) არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ - ,,პატარა საქართველო em Portugal " საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა.

ქ. სტოკჰოლმში საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა

28 მაისს, ქ. სტოკჰოლმში, დანდერიდის ეკლესიაში, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ღონისძიება.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შვედეთის წმ. გიორგის სამრევლოსთან არსებული მგალობელთა გუნდი „ალილო“, ქართული ნაციონალური ცეკვების ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები „შოშია“ და „სამანი“.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამრევლოს საკვირაო სკოლის მოსწავლეების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.
ღონისძიებას ესწრებოდა შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ირაკლი ხუცურაული, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა.



ქ. სტოკჰოლმში სიმღერისა და ცეკვის სტუდიამ „ნერგები“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

28 მაისს, ქ. სტოკჰოლმში, ი. ჭავჭავაძის სახელობის შვედეთის სათვისტომოსთან არსებულმა საკვირაო სკოლამ და სიმღერისა და ცეკვის სტუდიამ „ნერგები“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა, დევიზით: „მე ქართველი ვარ“. ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ აფხაზეთის ომისა და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე ვეტერანები.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO